

**ნიაზი (აჰმედ) ბანოღლუს (ბანელიშვილის)
„სიყვარულისთვის“ – გიორგი სააკაძისა
და ქეთევან წამებულის ცხოვრებათა
ამსახველი ისტორიული რომანი**

**NIYAZI (AHMET) BANOĞLU (BANELISHVILI)'S
FOR LOVE: A HISTORICAL NOVEL
PORTRAYING THE LIVES OF GIORGI SAAKADZE AND
QUEEN KETEVAN THE MARTYR**

ავთანდილ ნიკოლეიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქუთაისი, საქართველო

Avtandil Nikoleishvili
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

აბსტრაქტი

ეთნიკური წარმომავლობით ქართველი მწერლის – ნიაზი (აჰმედ) ბანოღლუს (ბანელიშვილის. 1913-1992 წწ.) ლიტერატურული მემკვიდრეობა დღესდღეობით თითქმის სრულიად უცნობია საქართველოში. მწერლის შემოქმედებით ჩემი დაინტერესების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად არა მარტო მისი ქართული წარმომავლობა იქცა, არამედ ისიც, რომ მისი მხატვრული ნააზრევის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას ქართულ თემატიკასთან დაკავშირებული ისტორიული რეალიების წარმოსახვა წარმოადგენდა. კერძოდ, სტამბოლში 1941 წელს გამოცემულ თავის რომანში – „სიყვარულისთვის“ მან თურქულ არქივებში თავის მიერ მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით მოგვითხრო გიორგი სააკაძისა და ქეთევან წამებულის ტრაგიკული ცხოვრებისეული თავგადასავალი. ნიაზი ბანოღლუ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეწეოდა აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას. კერძოდ, თავისი მწერლური შესაძლებლობები მან შთამბეჭდავი ფორმით გამოავლინა როგორც ორიგინალურ მხატვრულ და პუბლიცისტურ ქმნილებებში, ისე ქართველ მწერალთა შემოქმედებიდან თურქულ ენაზე თარგმნილი და გამოცემული მხატვრული ტექსტებით. ნიაზი ბანოღლუ ქართული წარმომავლობის პირველი თურქი მწერალია, რომელმაც ხსენებული ეთნიკური წარმომავლობის ავტორთაგან თურქული ლიტერატურის ისტორიაში პირველმა დაუდო სათავე ქართულ თემატიკას. კერძოდ, გიორგი სააკაძისა და ქეთევან წამებულის ცხოვრებისეული ხვედრის ამსახველი თავისი რომანით მან ძირითადად ისტორიული სიმართლით მოგვითხრო ხსენებულ პიროვნებათა

ტრაგიკული თავგადასავლების წარმომჩენი მოვლენები. ამ მიზნით მას საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი აღნიშნულ რეალობასთან დაკავშირებით თურქულ არქივებში დაცული დოკუმენტებიცა და თურქ, ქართველ და სპარს მემკვიდრეობაზე მემუარული ჟანრის ტექსტებიც. ნიაზი ბანოღლუს რომანის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ღირსებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოებაც, რომ გიორგი სააკაძეს იგი, პირველ ყოვლისა, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთგულ იმ პიროვნებად წარმოაჩენს, რომლის იდეალსაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა წარმოადგენდა.

საკვანძო სიტყვები: ნიაზი (აჰმედ) ბანოღლუ, გიორგი სააკაძე, ქეთევან დედოფალი, საქართველო-თურქეთის კულტურული ურთიერთობები.

ABSTRACT

The literary legacy of Niyazi (Ahmet) Banoğlu (Banelishvili, 1913-1992), a writer of Georgian descent, remains virtually unknown in Georgia today. My interest in his work is informed not only by his ethnic background but also by the centrality of Georgian historical themes in his literary activity. His novel *For Love*, published in Istanbul in 1940, recounts the tragic life stories of Giorgi Saakadze and Queen Ketevan the Martyr, drawing on archival materials he discovered in Turkish repositories. Throughout his life, Niyazi Banoğlu remained deeply involved in creative activity, exhibiting notable literary accomplishment in original fiction and journalistic prose, as well as in his translations of Georgian literary works into Turkish, many of which were published.

Niyazi Banoğlu may be regarded as the first Turkish writer of Georgian origin to introduce Georgian themes into the corpus of Turkish literature. In his novel devoted to Giorgi Saakadze and Queen Ketevan the Martyr, his primary aim was to depict, with historical precision, the events that shaped their tragic destinies. To this end, he conducted extensive research in Turkish archives and examined memoir accounts by Turkish, Georgian, and Persian chroniclers. A particularly significant feature of Banoğlu's novel is the depiction of Giorgi Saakadze as, above all, a loyal figure committed to the national interests of Georgia—an individual whose supreme ideal was the preservation of his country's independence.

Keywords: Niyazi (Ahmet) Banoğlu; Giorgi Saakadze; Queen Ketevan; Cultural relations between Georgia and Turkey

შესავალი

სამწუხაროდ, ეთნიკური წარმომავლობით ქართველი მწერლის, პუბლიცისტისა და რედაქტორის ნიაზი (აჰმედ) ბანოღლუს (ბანელიშვილის) შემოქმედებითი მემკვიდრეობა დღესდღეობით თითქმის სრულიად უცნობია თავის ისტორიულ სამშობლოში. ამ რეალობის შესაცვლელად პირველი ნაბიჯები თავდაპირველად გივი კარბელაშვილმა (1923-1994) და ალექსანდრე ჩხაიძემ (1924-1998) გადადგეს – გ. კარბელაშვილმა 1983 წელს გამოქვეყნებული ნარკვევით – „ქვეყნად მშვიდობა სუფევდეს

მარად“ (იხ.: კარბელაშვილი 1987) და ალ. ჩხაიძემ 1991 წელს გამოცემული წიგნით – „ჩვენებურები. დოკუმენტური მოთხრობა თურქეთში მცხოვრებ თანამემამულეებზე და კიდევ სხვა ამბებზე.“ ნიაზი ბანოღლუს შემოქმედებით ჩემი დაინტერესება არა მარტო მისმა ქართულმა წარმომავლობამ განაპირობა, არამედ იმანაც, რომ მისი შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას ქართულ თემატიკასთან დაკავშირებული ისტორიული რეალიების წარმოსახვა წარმოადგენდა. კერძოდ, სტამბოლში 1940 წელს გამოცემულ თავის რომანში – „სიყვარულისთვის“ მან თურქულ არქივებში თავის მიერ მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით სცადა მოეთხრო გიორგი სააკაძისა და ქეთევან წამებულის ტრაგიკული ცხოვრებისეული თავგადასავალი.

კვლევის მეთოდები

წინამდებარე ნარკვევში ქართველი ლიტერატურული საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი ეს რომანი განხილულია კრიტიკული ანალიზის, ისტორიზმისა და ინტერპრეტირების მეთოდთა გამოყენებით.

შედეგები

ქართულ-თურქული ურთიერთობებით დაინტერესებულ ქართველ მკითხველთა უდიდესი ნაწილი წარმოდგენილი ნაშრომის მეშვეობით თავდაპირველად მოკლედ გაეცნობა თურქეთში მოღვაწე მწერლის, პუბლიცისტისა და აქტიური საზოგადო მოღვაწის – ნიაზი (აჰმედ) ბანოღლუს (ბანელიშვილის) ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრეს რეალიებს, შემდეგ კი შედარებით ვრცლადაა განხილული მისი ისტორიული რომანი „სიყვარულისთვის“, რომელშიც უმთავრესად ისტორიული სიმართლითაა მოთხრობილი გიორგი სააკაძისა და ქეთევან დედოფლის ტრაგიკული ცხოვრების წარმომჩენი უმთავრესი ეპიზოდები.

მსჯელობა

ნიაზი ბანოღლუ ჩვენს ქვეყანას პირველად და უკანასკნელად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის – ოთარ გიგინეიშვილის მოწვევით სტუმრობდა 1983 წლის ივლისში. ამ ვიზიტის დროს მას შეხვედრები ჰქონია ჩვენი ქვეყნის არაერთ ცნობილ პიროვნებასთან, მათ შორის საქართველოში იმხანად გამომავალი გაზეთის – „სამშობლოს“ რედაქტორ გივი კარბელაშვილთანაც. ეს შეხვედრა არსებითად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ხსენებული გაზეთი უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისათვის განკუთვნილ პერიოდულ გამოცემას წარმოადგენდა (საქართველოში ნიაზი ბანოღლუს იმდროინდელ სტუმრობასთან დაკავშირებით იხ.: კარბელაშვილი 1987: 482).

ნიაზი ბანოღლუს შესახებ, ასევე, საინტერესო ცნობებს გვაწვდის ალექსანდრე ჩხაიძეც, რომელიც თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ყოფაცხოვრების გასაცნობად ამ ქვეყანას პირველად 1988 წლის ნოემბერში სტუმრობდა. როგორც ითქვა, ამ მოგზაურობის შედეგად განცდილი შთაბეჭდილებები მან ღრმად შთაბეჭდავი ემოციით მოგვითხრო 1991 წელს გამოცემული წიგნით – „ჩვენებურები. დოკუმენტური მოთხრობა თურქეთში მცხოვრებ თანამემამულეებზე და კიდევ სხვა ამბებზე“.

ალ. ჩხაიძის თურქული შთაბეჭდილებების ამსახველი ამ ნაშრომის წაკითხვის დროს ჩემი განსაკუთრებული ყურადღებამის მიერ მოწოდებულმა

იმ ინფორმაციამ მიიქცია, რითაც იუწყებოდა, რომ სტამბოლში მცხოვრებ მწერალსა და ჟურნალისტს ნიაზი (აჰმედ) ბანოღლუს (ბანელიშვილის) გიორგი სააკაძის ცხოვრებისა და საბრძოლო თავგადასავლების ამსახველი ისტორიული რომანი ჰქონია დაწერილი. კერძოდ, ნიაზი ბანოღლუსთან თურქეთელი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – გურამ ხიმშიაშვილის (მუსტაფა იაქუტის) ძალისხმევით გამართული შეხვედრის დროს ნიაზს ალ. ჩხაიძისთვის უთქვამს: „საქართველოთი დაინტერესებამ და ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის მასალების კვლევამ გიორგი სააკაძემდე მიმიყვანა... მართალია, მას თურქული ჩალმა ეხურა, მაგრამ გული მაინც ქართველის დარჩა. რომ დაცლოდა და ვერაგულად არ მოეკლათ, დაამტკიცებდა კიდევ ამას“.

ნიაზის მიერ სტუმრისთვის მიწოდებული ამ ინფორმაციისთვის გურამ ხიმშიაშვილს ისიც დაუმატებია, რომ მას გიორგი სააკაძეზე რომანიც ჰქონია დაწერილი, რაზეც თავად ნიაზისგან ასეთი პასუხი მიუღია: „გიორგი სააკაძეზე იმდენი მასალა დამიგროვდა, რომ გავხედე, ამ გამოჩენილ სარდალზე რომანი დამეწერა. პირველად ნაწილ-ნაწილ ვაქვეყნებდი გაზეთებში, შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოვეცი სათაურით – „სიყვარულისათვის“. ყდაზე გიორგი სააკაძეა გამოხატული“ (ჩხაიძე 1991: 88).

ალ. ჩხაიძის მიერ მოწოდებული ამ ინფორმაციებით დაინტერესებულმა დასახმარებლად მივმართე ბატონ გურამ ხიმშიაშვილს, რომელმაც დაუყოვნებლივ მომაწოდა როგორც ხსენებული რომანის ელექტრონული ვერსია, ისე შტრიხები მწერლის ბიოგრაფიიდან. ნიაზი (აჰმედ) ბანოღლუ (ბანელიშვილი) დაიბადა 1909 (ზოგიერთი ცნობის მიხედვით – 1913) წელს ბათუმში. მისი წინაპრები ხოფის პროვინციაში მდებარე სოფელ ფილარგეთის მკვიდრნი ყოფილან. ნიაზის მამა აჰმედი, რომლის შემოსავლის უმთავრეს წყაროს ჩაითვაჭრობა წარმოადგენდა, კომერციული საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით საცხოვრებლად ბათუმში გადასულა. ნიაზი 12-13 წლის ყმაწვილი ყოფილა. როცა იგი თავის უფროს ძმას – მუსტაფას თურქეთში ფარულად გადაუყვანია. ამ დროიდან მოყოლებული, მთელი ცხოვრება ამ ქვეყანაში გაუტარებია.

ტრაპიზონის ვილაიეთში მდებარე ქალაქ კასტამონის ინტერნატში ერთწლიანი სწავლის შემდეგ ნიაზი ტრაპიზონის საშუალო სკოლაში გადავიდა, მაგრამ სწავლისთვის საჭირო თანხის გადაუხდელობის გამო იძულებული გახდა, სასწავლებელი დაეტოვებინა და თავისივე სოფელ ფილარგეთში დაბრუნებულიყო, სადაც ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა დაწყებითი სკოლის მასწავლებლად.

ამის შემდეგ იგი საცხოვრებლად გადავიდა სტამბოლში, სადაც აქტიურ შემოქმედებით და ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა. კერძოდ, ნიაზი ბანოღლუს მწერლური შესაძლებლობები შთამბეჭდავი ფორმით გამოვლინდა, ერთის მხრივ, მის ორიგინალურ მხატვრულ და დოკუმენტურ ქმნილებებში, მეორეს მხრივ, თურქულ ენაზე ქართული და გერმანული ენებიდან თარგმნილი და გამოცემული მხატვრული ტექსტების მეშვეობით.

ცალკე უნდა აღინიშნოს ნიაზი ბანოღლუს, როგორც თურქულ ენაზე ქართველ მწერალთა მხატვრული ქმნილებების ერთ-ერთი პირველი

მთარგმნელის, მნიშვნელოვანი დამსახურებაც. კერძოდ, მან თურქულად თარგმნა და გამოსცა ალექსანდრე ყაზბეგის რომანი „ელგუჯა“, ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები, სიმონ ქვარიანის რომანი „დიდი მოურავი“, „კავკასიური მოთხრობები“ და სხვ.

ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად, ნიაზი ბანოღლუ აქტიურ საზოგადოებრივ და ჟურნალისტურ საქმიანობასაც ეწეოდა. კერძოდ, იყო თურქეთის ჟურნალისტთა კავშირის წევრი და არაერთი საზოგადოებრივი საქმის თაოსანი. გარდა იმისა, რომ თავის პუბლიცისტურ წერილებსა და მხატვრულ ქმნილებებს ის ინტენსიურად აქვეყნებდა თურქულ პერიოდულ გამოცემებში, იგი, ასევე, იყო არაერთი პერიოდული ორგანოს რედაქტორ-გამომცემელიცა და თანამშრომელიც.

გარდაიცვალა სტამბოლში 1992 წელს.

ნიაზი ბანოღლუ ქართული წარმომადგენლობის პირველი თურქი ავტორია, რომელმაც ამ ეთნიკური წარმომადგენლობის მწერალთაგან თურქული ლიტერატურის ისტორიაში სათავე დაუდო ქართული თემატიკის მხატვრულ წარმოსახვას. კერძოდ, 1940 წელს სტამბოლში თურქულ ენაზე გამოცემული თავისი რომანით – „სიყვარულისთვის“ მან ძირითადად ისტორიული სიმართლით მოგვითხრო გიორგი სააკაძისა და ქეთევან დედოფლის ტრაგიკულ ცხოვრებისეულ ხვედრთან დაკავშირებული ამბები. ქართველ მწერალთა ნაწარმოებების თურქულ ენაზე თარგმნითა და გამოცემით კი თურქ მკითხველებს პირველმა გააცნო ქართული მწერლობის რამდენიმე ნიმუში (სახელდობრ, ალექსანდრე ყაზბეგისა და ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებები).

თურქული ლიტერატურის ისტორიაში ნიაზი ბანოღლუს მიერ საფუძველჩაყრილი ეს მიმართულება 1950-იანი წლებიდან მეტ-ნაკლები აქტიურობით განაგრძეს: აჰმედ ოზქანმა (მელაშვილმა. 1922-1980), ჰაირი ჰაირიოღლუმ (ვახტანგ მაღაყმაძემ. 1936-2003), ისმაილ ყარამ (შავიშვილმა. 1945-1998), ფაჰრედინ ჩილოღლუმ (ფარნა-ბექა ჩილაშვილმა. 1956), მუსტაფა იაკუტმა (გურამ ხიმშიაშვილმა. 1955), ილჰან აკინმა (ბერიძემ) და სხვა მწერლებმა.

იქიდან გამომდინარე, რომ ნიაზი ბანოღლუს რომანის სიუჟეტურ საფუძვლად გიორგი სააკაძისა და ქეთევან დედოფლის ცხოვრებასთან დაკავშირებული მოვლენებია ქცეული, ნაწარმოების სიუჟეტი, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ მოვლენების წარმომჩენ ისტორიულ დოკუმენტებს ემყარება. ამ მიზნით მწერალს საკმაოდ საფუძვლიანად რომ აქვს შესწავლილი ხსენებულ მოვლენათა ამსახველი მასალები და მემკვიდრეთა მემუარული ჟანრის ტექსტები, ეს მის მიერ რომანის ცალკეული ეპიზოდების მოთხრობის დროს მათი ნაშრომებიდან დამოწმებული შესაბამისი ფრაგმენტებითაც თვალნათლივ ჩანს.

ამ შემთხვევაში მხედველობიდან არც ის გარემოება უნდა გამოგვრჩეს, რომ მწერლის თვალთახედვის არეში ქართველ მემკვიდრეთა, პირველ ყოვლისა კი მიხეილ თამარაშვილის, ნაშრომებიც არის მოხვედრილი. კერძოდ, იქიდან გამომდინარე, რომ შაჰ-აბასის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე წამებით მოკლული ქეთევან დედოფალი ქრისტიანულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და მისი სხეულის ნაწილების გადარჩენა

დიდი გაბედულებისა და რისკის შედეგად სწორედ ღვთისმსახურებმა შეძლეს, მ. თამარაშვილმა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში – „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ (ტფ., 1902) ქეთევან დედოფლის სარწმუნოებრივი ღვაწლის წარმოჩენასაც დაუთმო მნიშვნელოვანი ადგილი.

როგორც ნიაზი ბანოღლუს რომანის შესაბამისი ეპიზოდისთვის დართული ავტორისეული კომენტარიდან თვალნათლივ ჩანს, ქეთევან დედოფლის წამების მოთხრობის დროს მწერალს არც ეს ნაშრომი დაუტოვებია ყურადღების მიღმა და მკითხველს ამ მოვლენასთან დაკავშირებულ ეპიზოდს მიხეილ თამარაშვილის წიგნიდან დამოწმებულ ასეთ კომენტარს ურთავს: „ქეთევან დედოფლის მოწამეობრივმა სიკვდილმა მაშინდელი მთელი ქრისტიანული სამყარო აღაშფოთა. ამ ტრაგედიის შედეგად დაღუპული დედოფლის წმიდა ნაწილების შესაგროვებლად შირაზში ევროპის სხვადასხვა კუთხიდან კათოლიკე მისიონერთა მრავალი დელეგაცია ჩავიდა. კათოლიკურმა ეკლესიამ დედოფალი წმინდანად შერაცხა და მისი ძვლები ბელგიაში, კერძოდ კი ქალაქ ნამურში, დაკრძალეს“.

როგორც უკვე ითქვა, გიორგი სააკაძის ცხოვრებითა და საბრძოლო თავგადასავლებით ნიაზი ბანოღლუს დაინტერესების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ის წერილობითი ცნობები იქცა, რომლებსაც თურქი (და არა მარტო თურქი) მემატიანეები გვაწვდიან ამ პიროვნების შესახებ. ამ გარემოებას რომანის ავტორი არა მარტო ნაწარმოებისთვის წამძღვარებულ წინათქმაში აღნიშნავს, არამედ ტექსტში მის მიერ შიგადაშიგ გაკეთებული იმ კომენტარებითაც, რომელთა მეშვეობითაც მკითხველს კონკრეტულადაც უსახელებს იმ მემატიანეებს, რომელთა ნაშრომებითაც ისარგებლა მან ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებული ეპიზოდის მოთხრობის დროს. მაგალითად, რომანის პირველივე გვერდზე იგი წერს: „რომანის მთელი სიუჟეტი ისტორიას ეთმობა. ისტორიკოსმა ნაიმამ ამ რომანის გმირს მრავალი ფურცელი დაუთმო, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვა მის ცხოვრებას და მოგვითხრო მისი თავგადასავალი. რომანის გმირი კავკასიელი მმართველია, რომელმაც გვირგვინი და ტახტი მიატოვა, თურქეთის საზღვარი გადალახა, ურთულეს ბრძოლაში საკუთარი ძალებით ჩაება და ოსმალთა ჯარი გადაარჩინა. გამბედაობისა და დახმარების სანაცვლოდ ფადიშაჰმა მას ხალათი საკუთარი ხელით ჩააცვა. ჩვენს მიერ მოთხრობილ ისტორიაში გმირის სახელი არის ფილმანონდ მაღზო, ანუ ფილ მაღზო. თუმცა მისი ნამდვილი სახელია „მოურავი“. მას კავკასიაში თავს გადახდა მრავალი სხვა თავგადასავალიც, რაც ჩვენს ისტორიას არ აუსახავს. რომანისათვის მასალები საქართველოსა და ოსმალეთის ისტორიის ამსახველი ტექსტებიდან მოვიპოვე. როცა მასალები შევკრიბე, სხვა ისეთი ვერაფერი ვიპოვე, რითაც მათ შევსებას შევძლებდი“.

როგორც ითქვა, დამოწმებული ფრაგმენტი გამონაკლისი არ არის და გიორგი სააკაძესთან, ქეთევან დედოფალთან და შესაბამისი პერიოდის სპარსეთში, ოსმალეთსა და საქართველოში მიმდინარე ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებული ამბების მოთხრობის დროს მწერალი მისეული კომენტარების თანდართვით კონკრეტულადაც ასახელებს იმ მემატიანეთა ნაშრომებს, რომლებზე დაყრდნობითაც აქვს მას გააზრებული მის მიერ ნაამბობი ესა თუ ის ეპიზოდი.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი სააკაძესა და ქეთევან დედოფალთან დაკავშირებული ეპიზოდები ნიაზი ბანოღლუს რომანში ძირითადად ისტორიული სიმართლითაა მოთხრობილი, რომანის ცალკეული სიუჟეტური განშტოებანი რეალურად არსებულ სინამდვილეს არ შეესაბამება. გარდა იმისა, რომ ეს გარემოება ფაქტოლოგიური რეალობის სათანადოდ არცოდნით შეიძლება იყოს გამოწვეული, მწერალი შესაბამისი პერიოდის ისტორიული ვითარების წარმოსახვის დროს ასეთ თავისუფლებას იმისთვისაც იჩენდა, რომ რომანში საკუთარი ფანტაზიით შეთხზული ამ ეპიზოდების ჩართვით შეეცადა, მის მიერ წარმოსახულ მოვლენათა განვითარების პროცესი მისთვის სასურველი მიმართულებით განეხილათ.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა რომანის ის ფრაგმენტები, რომლებშიც შესაბამისი პერიოდის ოსმალეთისა და საქართველოს ურთიერთობასთან და ქეთევან დედოფალთან დაკავშირებული ამბებია მოთხრობილი. კერძოდ, გიორგი სააკაძის დროინდელ საქართველოში არსებული უმძიმესი ისტორიული რეალობის წარმოსახვის დროს ნიაზი ბანოღლუ ამ მდგომარეობიდან ქართული სამეფო-სამთავროების გამოსავლის პერსპექტიულ გზად პროოსმალური პოლიტიკის გატარებას მიიჩნევდა. მწერლის აზრით, საამისო საფუძველს უადრესად რთული ის ურთიერთობაც ქმნიდა, რომელიც ოსმალეთსა და სპარსეთს შორის არსებობდა იმხანად.

სწორედ ყოველივე ზემოთქმულის ერთ-ერთ თვალნათლივ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ მწერლის მიერ ფანტაზიით შეთხზული ის ეპიზოდები, სადაც შაჰ-აბასის ტყვეობაში მყოფი ქეთევან დედოფალი ოსმალეთის ხონთქარს მისთვის საიდუმლოდ გაგზავნილი წერილებით დაბეჯითებით თხოვდა დახმარებას ტყვეობიდან განთავისუფლებასა და სამშობლოში დაბრუნებაში. ამ ეპიზოდების მოთხრობას ნიაზი ბანოღლუმ მეტი სიმძაფრე იმითაც შესძინა, რომ ოსმალეთის ხონთქარისთვის გაგზავნილი წერილების ადრესატამდე მიტანის საქმეს ქეთევან დედოფალი თურქ შუამავლებს ანდობდა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მწერლის ხაზგასმულად კეთილ-განწყობითი დამოკიდებულება გიორგი სააკაძისადმი არსებითად განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ სამშობლოდანაც და სპარსეთიდანაც დევნილმა მოურავმა საბოლოო თავშესაფარი ოსმალეთში ჰპოვა, სადაც ამ იმპერიის სახელმწიფოებრივი ძლიერების განმტკიცების გზაზე დიდ საბრძოლო წარმატებებს მიაღწია.

ისტორიულად ცნობილი ამ მოვლენის გათვალისწინებით, ნიაზი ბანოღლუ ფანტაზიით წარმოსახულ ისეთ ეპიზოდებსაც გვიამბობს, რომელთა მეშვეობითაც იმ პოზიტიური როლის ხაზგასმასაც ახდენს რამდენადმე იდეალიზებული ფორმით, რასაც შესაბამისი პერიოდის ოსმალეთის ხელისუფლების მესვეურები ასრულებდნენ საქართველოსთან მიმართებით ცალკეულ შემთხვევებში. ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს რომანიდან: „მოურავი ფიქრობდა, სულთნისთვის ეთხოვა დახმარება. იმედი ჰქონდა, რომ თურქეთის არმია მართლაც წამოიწყებდა ლაშქრობას ყიზილბაშთა

აგრესიის ასალაგმად. ასეთი დახმარება რომ მიეღო, იგი შეძლებდა საქართველოში შაჰის მოლაშქრეთა განადგურებას, რის შედეგადაც ეს ქვეყანა თავისუფლებას მოიპოვებდა და იმ ბედნიერებას ეწეოდა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ესწრაფოდა“.

როგორც რომანიდან თვალნათლივ ჩანს, თურქეთთან დაკავშირებით გიორგი სააკაძის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება მოურავის მიერ მოვლენათა ემოციური შეფასების შედეგს არ წარმოადგენდა და ამ თვალსაზრისის აღიარებამდე არა მარტო დიდი მოურავი მივიდა სამშობლოდან მისი განდევნისა და სპარსეთის უმაღლეს ხელისუფლებასთან ურთიერთობაში ხელის მოცარვის შემდეგ, არამედ ქეთევან დედოფალიც. ეს ყველაფერი კი საკმაოდ მყარ საფუძველს იძლევა იმის სათქმელად, საქართველოსა და ოსმალეთს შორის საუკუნეების განმავლობაში არსებულ საკმაოდ რთულ ურთიერთობათა მიუხედავად, რის უმთავრეს გამოვლინებასაც წარმოადგენდა ოსმალეთის ხელისუფლების მიერ ჩვენი ქვეყნის დასაპყრობად პერმანენტულად წარმართული დამპყრობლური პოლიტიკა, ამ იმპერიის მესვეურთა ცალკეული წარმომადგენლები დროდადრო აღნიშნული პოლიტიკისაგან არსებითად განსხვავებულ მიდგომასაც იჩენდნენ.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ბანოღლუს რომანში საკმაოდ მძლავრად გამოხატული ამ იდეის არსებითად განმაპირობებელ ფაქტორად არა მარტო ის მნიშვნელოვანი დამსახურება იქცა, რომელიც გიორგი სააკაძეს მიუძღოდა ოსმალეთის იმპერიის მსახურების პერიოდში, არამედ თავად მწერლის ეთნიკური წარმოშობაც – როგორც უკვე აღინიშნა, ეთნიკური წარმომავლობით იგი ქართველი იყო. რომანის ზემოთ აღნიშნულ მხარეზე საუბრის დროს დავიმოწმებ რამდენიმე ფრაგმენტს ავტორისეული მონათხრობიდან: „მოურავი თუკი შეძლებდა, ამ საფრთხესაც ხელიდან რომ დასხლტომოდა, ამ ადგილებში (იგულისხმება სპარსეთი – ა. ნ.) მეტად აღარ გაჩერდებოდა. მართალია, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იგი მთელი თავისი ცხოვრება იბრძოდა, მაგრამ ეს არანაირ შედეგს არ აძლევდა და უბედურება დღითიდღე ძლიერდებოდა... ერთადერთი იმედი დარჩა – ოსმალეთის სულთნისათვის ეთხოვა დახმარება... მოურავმა გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ასე მოქცეულიყო და ამ გზით ეძია შური შაჰ-აბასსა და ყორჩიხა-ხანზე“.

მწერალი გიორგი სააკაძის ამგვარ პოლიტიკურ თალთახედვას მეტ მასშტაბს იმითაც სძენს, რომ მის ერთგულ თანამებრძოლებად მას თურქი ეროვნების წარმომადგენლებიც, პირველ ყოვლისა კი ქეროღლანიცა და იადიგარიც, გამოჰყავს. მოურავისადმი მათი ამგვარი დამოკიდებულება მხოლოდ სიტყვიერი თანადგომით რომ არ შემოიფარგლებოდა, ეს მათ თავიანთი პრაქტიკული ქმედებებითაც არაერთგზის დაამტკიცეს. სწორედ ამის ერთ-ერთ ყველაზე თვალნათლივ გამოვლინებას წარმოადგენს რომანის ის ეპიზოდი, რომელშიც მაღალმხატვრული სიტყვიერი ხელოვნებითაა წარმოსახული ქეროღლანისა და იადიგარის სულიერი განცდები და ქმედებანი ქეთევან დედოფლის წამებით მოკვდინების შემდეგ.

კერძოდ, ავტორისეული მონათხრობის ამ ეპიზოდიდან ნათლად ჩანს, რომ მათ გიორგი სააკაძეზე არანაკლები მწუხარებით განიცადეს ყორჩიხა-ხანის მიერ დედოფლის ბარბაროსული მკვლელობა და ამ ტრაგიკული

მოვლენისადმი თავიანთი პროტესტი მძაფრად ემოციური ფორმით გამოხატეს.

მიუხედავად იმისა, რომ რომანის სიუჟეტი ძირითადად საქართველოს გარეთ, სპარსეთსა და ოსმალეთში, ვითარდება, ავტორისეული მონათხრობის უმთავრეს მიზანს, პირველ ყოვლისა, იმ ურთულესი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი რეალობის ისტორიული სიმართლით წარმოსახვა წარმოადგენს, რომელიც შესაბამისი პერიოდის საქართველოში არსებობდა. ამ მიზნის მისაღწევად ნიაზი ბანოღლუსთვის შემაფერხებელ მოვლენად არ ქცეულა ის გარემოება, რომ რომანის ქართველი პერსონაჟები თავიანთი სამშობლოდან უცხო ქვეყნებში იყვნენ იძულებით გადახვეწილი.

ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი სიცხადის მისაღებად არაერთი ეპიზოდი შეიძლება დავიმოწმოთ რომანიდან. მაგალითად: „საქართველოში ქაოსური მდგომარეობა სუფევდა და ყველა მხარე ცალკე სამეფოდ იყო გადაქცეული. ყოველი მეფე თავის მოქალაქეებს ებრძოდა. შაჰ-აბასი, რაც მოესურვებოდა, იმას აკეთებდა, საქართველოში ჯარს აგზავნიდა და ათასობით ქართველს უმოწყალოდ ხოცავდა. შაჰმა საქართველოს სამეფო ოჯახის შვილი თეიმურაზიც გაიტაცა და წლების განმავლობაში ირანულ სასახლეებში გამოწყვდევისა და სპარსული წესით აღზრდის შემდეგ საქართველოში მეფედ დანიშნა. ამბობდნენ, რომ თეიმურაზი ჯარისკაცებს აგროვებდა და შაჰ-აბასზე შურისძიებისთვის ემზადებოდა. მაგრამ რამდენად შეიძლება ეს სიმართლე იყოს?! – გაიფიქრა შაჰმა და ჩაბნელებულ ბაღს მიაშტერდა, თითქოს ისტორიის სისხლიანი ფურცლების წაკითხვას იქ ცდილობდა. მას შემდეგ, რაც წმინდა ნინომ ამ ქვეყანაში ქრისტიანული რელიგია შემოიტანა, ქვეყანამ აღორძინება დაიწყო და თამარ მეფის ეპოქაში ოქროს ხანას მიაღწია. მაგრამ ამის შემდეგ მტერთა გამუდმებული შემოსევები დაიწყო და საქართველოს მიწები სისხლით მოირწყო... ყველა კუთხეს საკუთარი მეფე ჰყავდა. ისინი მთავარ სამეფო ოჯახს არ ექვემდებარებოდნენ და ცალკე ავტონომიებს ქმნიდნენ. ასეთ ლამაზ მიწას მშვიდობიანი დღე არასოდეს უნახავს. ერთ მეფეს ისიც კი უთქვამს – „საქართველოს ისტორია ჩვენი მარღვებიდან გადმოსული სისხლით იწერება“. მოურავს თვალწინ ჩაუარა საქართველოში თურქების შემოსევათა ეპიზოდებმა და ღრმა ფიქრს მიეცა... შაჰ-თამაზ I-ის შემოსევის დროს თურქმა სარდლებმა არაერთი ქართველი მეფე მოკლეს. ხალხიც მტრისგან დაუცველი და შვეწროებული იყო“.

დამოწმებული ფრაგმენტისადმი ინტერესს არა მარტო ის გარემოება განაპირობებს, თურქი მწერალი გიორგი სააკაძის დროინდელ საქართველოში არსებულ ურთულეს ვითარებას მართებულად რომ წარმოაჩენს, არამედ ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში იმხანად შექმნილი ამ მდგომარეობის განმაპირობებელ ფაქტორად იგი იმ აგრესიულ პოლიტიკასაც მიიჩნევს, რომელსაც ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლება ატარებდა საქართველოს დასაპყრობად.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი სააკაძის ცხოვრებისეულ ხვედრთან დაკავშირებულ ამბავთა ავტორისეული მონათხრობიდან ბევრი რამ არა თუ სპეციალისტებისთვის, არამედ ფართო მკითხველი საზოგადოებისთვისაც კარგადაა ცნობილი, ნიაზი ბანოღლუს რომანში თავად მწერლის ფანტაზიით წარმოსახული არაერთი ეპიზოდიც გვხვდება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა რომანის ის მონაკვეთი, სადაც ქეთევან

დედოფლის მოწამეობრივი მკვლელობის ამბავია მოთხრობილი. რომანის ამ ეპიზოდით ნიაზი ბანოლლუმ ყველაზე მეტად გამოავლინა თავისი მწერლური შესაძლებლობები. ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული მონაკვეთიდან: „მოურავმა პირდაპირ ცხედრებისკენ გასწია. პირველივე სანახაობა შემზარავი იყო. აცახცახებული მოურავი ზეწარგადაფარებულ ცხედრებს თავზე დაემხო. მისი ხმა იმდენად სულისშემძვრელი იყო, რომ ვინც ეს ნახა, აღარ საჭიროებდა იმის კითხვა, თუ ვინ იყო ეს კაცი. მოურავმა საბრალო დედოფლის გულისცემას დაუგდო ყური. ყველაფერი ძალიან დაგვიანებული იყო. დედოფლის მუქი ფერის თმებს შეეხო. კაცი, რომელმაც არ იცოდა, რა იყო ტირილი, ცრემლებად დაიღვარა. თითქოს გულში მახვილი ჰქონდა ჩასობილი... – ჩემო დედოფალო, – ქვითინებდა მოთქმით, – შენს გამო სანამ შურს არ ვიძიებ, არ მოვისვენებ! და როცა ეს მოხდება, ჩემი ცხოვრებაც დასრულდება... შენი წმინდა სხეულის წინაშე ვფიცავ, რომ შენ გამო შურს ვიძიებ!“

რომანის იმ ეპიზოდებიდან, რომლებშიც ყველაზე მეტად გამოვლინდა ნიაზი ბანოლლუს მწერლური შესაძლებლობები, ასევე მინდა გავიხსენო ნაწარმოების ის ადგილი, სადაც ფსიქოლოგიური სიმართლითაა წარმოსახული შაჰ-აბასის მიერ საქართველოს ასაკლებად წარმოგზავნილი დიდძალი ჯარის მთავარსარდლად დანიშნული გიორგი სააკაძის სულიერი განცდები. მაგალითად: „რაც უფრო მეტად უახლოვდებოდა საქართველოს, მით უფრო განიცდიდა სულიერ ტანჯვას. არა! საკუთარი ხალხის სისხლს არ დაღვრიდა. მათ წინააღმდეგ იარაღის გამოყენება მას გამარჯვებას ვერ მოუტანდა და საქართველოს ათასობით ოჯახის წევრებს ვერ გადაურჩებოდა... იმ დღეს, როდესაც წინ მიმავალებმა განაცხადეს, რომ საქართველოს უახლოვდებოდნენ, ჯარი დასასვენებლად შეაჩერა. გვიან ღამემდე თვალი არ მოუხუჭავს... მოურავი ამ ბოლო შანსსაც ქვეყნის სასიკეთოდ გამოიყენებდა, საქართველოს არ უღალატებდა და თავის მძეგს არ დახოცავდა. არა! ამას არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებდა! საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად გადადგმულ ამ ნაბიჯს ისტორია მას თავისი ქვეყნის ღალატად ჩაუთვლიდა“.

ავტორისეული მონათხრობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად გიორგი სააკაძის ეროვნული ინტერესების წარმოჩენა წარმოადგენს. კერძოდ, სპარსეთშიცა და ოსმალეთშიც მოურავის გადახვეწა იძულებით მიღებული გადაწყვეტილება იყო და ამ ქვეყნებს შეხიზნული, იგი არა მარტო უცხო სახელმწიფოთა პოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად იბრძოდა, არამედ თავისი ფარული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალების ხორცშესახმელადაც. აქედან გამომდინარე, ნიაზი ბანოლლუს რომანის უმთავრეს ღირსებად ის გარემოება უნდა მივიჩნიოთ, რომ ავტორი ქართველი მხედართმთავრისა და პოლიტიკური მოღვაწის პიროვნული მისწრაფებების წარმოჩენის დროს, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ მხარეს მიაპყრობს მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი სააკაძის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესების გამოხატვის დროს რომანში ავტორის პროთურქული განწყობაც აშკარად იგრძნობა, გიორგი სააკაძის პიროვნული იდეალების წარმოჩენის დროს მწერალი სწორედ ამ გარემოებას აქცევს განსაკუთრებული ყურადღების საგნად.

როგორც მოსალოდნელი იყო, გიორგი სააკაძის დრამატული თავგადასავლის მოთხრობა ნიაზი ბანოღლუმ განუყოფელად დაუკავშირა საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემას, რომელიც რომანში სამი უმთავრესი მიმართულებითაა წარმოჩენილი: პირველი, გიორგი სააკაძისა და მისი თანამებრძოლების აქტიური მონაწილეობით ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად გამართულ ბრძოლებში; მეორე, ქართველ დიდგაროვანთა და სამეფო კარის წარმომადგენელთა შორის არსებულ დაპირისპირებათა წარმოსახვითა და, მესამე, იმ აქტიურ საომარ ბატალიებთან დაკავშირებული ეპიზოდების მოთხრობით, რასაც სპარსეთისა და ოსმალეთის მესვეურები ახორციელებდნენ ჩვენი ქვეყნის მისატაცებლად.

ნიაზი ბანოღლუს რომანის ღირსებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ მწერალი გიორგი სააკაძეს ამ შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთგულ იმ პიროვნებად წარმოგვიდგენს, რომლის სახელმწიფოებრივ იდეალსაც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტიურად დაცვა წარმოადგენდა. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, ჩვენს ქვეყანაში იმხანად არსებული ურთულესი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ქართველ მამულიშვილთა გარკვეული ნაწილი (მათ შორის რომანის მთავარი გმირიც) იძულებული რომ იყო ქვეყნის გარეთაც აქტიურად ეძებნა ისეთი მფარველ-მოკავშირე, რომელიც რეალურად დაეხმარებოდა საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში.

ნიაზი ბანოღლუს რომანის მიხედვით, საკუთარი სამშობლოდან პიროვნული ამბიციების გამო დევნილი და ჯერ სპარსეთში, შემდეგ კი ოსმალეთში გადახვეწილი გიორგი სააკაძე ასეთ მძლავრ პოლიტიკურ და სამხედრო მოკავშირედ თავდაპირველად სპარსეთს მიიჩნევდა, მაგრამ ამ ქვეყნის მმართველთა, პირველ ყოვლისა კი შაჰ-აბასის, მიერ საქართველოს მისატაცებლად გატარებულმა მზაკვრულმა პოლიტიკამ იგი რეალურად დაარწმუნა იმაში, რომ მის ამ მოლოდინს არავითარი საფუძველი არ გააჩნდა.

პირველ ყოვლისა, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა გიორგი სააკაძის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის არსებითად შეცვლა და ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებასთან მისი დაახლოება. თუმცა ავტორისეული მონათხრობიდან ისიც ნათლად ჩანს, სააკაძის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება შექმნილი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი რეალობით რომ იყო განპირობებული და მისი ამგვარი თვალთახედვა არამც და არამც არ წარმოადგენდა საკუთარი ქვეყნისადმი ღალატს.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი სააკაძის დრამატულ თავგადასავალს მწერალი უმთავრესად ისტორიული სიმართლით გვიამბობს, ავტორისეულ მონათხრობში ისეთი ეპიზოდებიც გვხვდება, რომლებიც რეალურ სინამდვილეს არ, ანდა ნაკლებად შეესაბამება. მაგალითად, გიორგი სააკაძის სიკვდილით დასჯის მწერლისეული ვერსია არსებითად განსხვავდება მემატიაწეთა და ისტორიკოსთა მიერ მოწოდებული ცნობებისაგან. კერძოდ, ხსენებულ ვერსიაში მწერალს ბოლომდე არ აქვს დაზუსტებული, სააკაძე ჩამოახრჩვეს, თუ თავის მოკვეთით დასაჯეს. მწერლის მიერ ამასთან

დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაცია სწორედ ასეთ გაურკვევლობას იძენს ხსენებული ტრაგიკული მოვლენის წარმომსახველ ამ ეპიზოდში.

რომანის ამ ეპიზოდით მწერალი არა მარტო გიორგი სააკაძის სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით გვაწვდის განსხვავებულ ვერსიას, არამედ ქართველი მთავარსარდლის ეროვნულ თვალთახედვასაც წარმოაჩენს უაღრესად საინტერესოდ. კერძოდ, ნიაზი ბანოლლუს ერთმნიშვნელოვანი ხაზგასმით, სამშობლოსგან დევნილი მოურავი, უცხო ქვეყნების ხელისუფალთა სამსახურში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, კვლავაც რჩებოდა თავისი სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტად.

თუმცა თავისი დრამატული ცხოვრების ტრაგიკულად დამამთავრებელ ამ პერიოდში რომანის მთავარ გმირს მწერალი ყოველმხრივ ხელმოცარულ და ყველასგან გარიყულ პიროვნებად წარმოსახავს. ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად დავიმოწმებ კიდევ ერთ ფრაგმენტს რომანიდან: „მოურავმა იმდენი გააკეთა, რამდენიც ერთ ადამიანს შეეძლო, ცხოვრების მანძილზე გაეკეთებინა. ყველაფრის გემო ნახა. სურდა, რომ მოხუცი სხეული დაესვენებინა და ცხოვრება ტკბილ და მატყუარა ოცნებებში გაეტარებინა. მეფობიდან პროვინციის ადმინისტრაციის მმართველობამდე დაქვეითებულ მარტოსულ შეყვარებულს აღარაფრის სურვილი აღარ შერჩენოდა. ცხოვრება იმასაც მოასწრებს, რომ ერთ დღესაც ჰუსრეე ფაშას ჯარისკაცები მას თავს დაესხმებიან, ხელებს შეუკრავენ და სატუსაღოში ჩასვამენ. მოურავმა უკვე საკუთარი თავი ბედს მიაწოდო. რაც მოსახდენია, მოხდეს, რაც უნდათ, გააკეთონო, – ამბობდა. – მომენტი გაქვს და გაიქცეო, – ეუბნებოდნენ მას. – საით გავიქცე?.. ვიცი, რომ დედამიწის ყველა მხარეს სხვა ადგილი არის, მაგრამ მე თურქულ მიწაზე სიმშვიდე ვპოვე. აქ მოკვდები... ომი უკვე მძულს და ის ხმალი, რომლითაც თამარა აგვუწე, დავამსხვრიე. ხელში მეტად იარაღს აღარ ავიღებო, – ამბობდა მოურავი.“

მწერლის ფანტაზიით წარმოსახული ამ ეპიზოდისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ისიც, რომ სასიკვდილო განაჩენის აღსრულებისაგან გიორგი სააკაძის გადარჩენას მისი სიცოცხლის ამ საბედისწერო წუთებში ქართველი გოგონას ორგანიზებით შეკრებილი თურქი ახალგაზრდები ცდილობენ. მაგრამ მათ ამ გადაწყვეტილებას თავად მოურავი ეწინააღმდეგება კატეგორიულად და მის გადასარჩენად მისულებს თავის ამ გადაწყვეტილებას ამგვარად განმარტავს: „მე ჩემი შესაძლებლობები უკვე ამოვწურე და გასაკეთებელიც აღარაფერი დამრჩენია!.. მინდოდა, რომ ჩემი თანამემამულეების გულებში მეცხოვრა. მათ ახლა იმაზე იფიქრონ და ის გააკეთონ, რაც მე მსურდა და ვერ შევძელი!“

რომანის ამ ეპიზოდში გამოხატული მწერლისეული თვალსაზრისის შეფასების დროს უყურადღებოდ გიორგი სააკაძის მიერ სიკვდილის წინ წარმოთქმული არც ის სიტყვები უნდა დავტოვოთ, რითაც წინააღმდეგობებითა და სირთულეებით სავსე თავისი ცხოვრება თავად მას მწერალმა ასე შეაფასებინა: „ვისჯები იმიტომ, რომ ჩემს ერს ვუღალატე, იქ უნდა მომკვდარიყავი“.

სამწუხაროდ, ნიაზი ბანოლლუს რომანი არა მარტო ქართველ თურქოლოგთა ყურადღების მიღმა დარჩა, არამედ თურქოლოგთა მიერ დამოუკიდებლად და კრიტიკოსთა თვალთახედვის არეშიც ნაკლებადამოქცეული. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადგენს ცნობილი თურქი მწერალი

ფაჰრედინ ჩილოღლუ (ფარნა-ბეკა ჩილაშვილი), რომელმაც 2018 წელს წერილობითი ფორმით შემოგვთავაზა ხსენებული რომანის მისეული ანალიზი და ნიაზი ბანოღლუს შემოქმედებითი ღვაწლის წარმომჩენ ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებად ის ფაქტი მიიჩნია, რომ აღნიშნული ნაწარმოები ქართულ თემატიკაზე თურქეთში დაწერილი მეორე ისტორიული რომანია აჰმედ მიდჰათ ევენდის რომანის – „ქართველი ქალი ანუ შურისძიება“ შემდეგ (ფაჰრედინ ჩილოღლუს ხსენებული წერილი იხ.: Parna-beka Çilaşvili, 2018, Giorgi Saakadze ve Aşk Uğrunda, Tetri Pıala. აჰმედ მიდჰათ ევენდის ამ რომანის ჩემული ანალიზი კი იხ.: წიგნში: ნიკოლეიშვილი 2022: 233-247).

დასკვნა

როგორც უკვე ითქვა, ნიაზი ბანოღლუს რომანი გიორგი სააკაძისა და ქეთევან დედოფლის ცხოვრებისეული ხვედრის წარმომჩენი საინტერესო მხატვრული ტექსტია. მიუხედავად იმისა, რომ რომანის ცალკეული ეპიზოდები ავტორის სუბიექტური თვალთახედვითაა აღბეჭდილი და შესაბამისი პერიოდის მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები მათში რამდენადმე სახეცვლილი სახითაც არის ასახული, არა მარტო ქართველი მკითხველისათვის, არამედ თურქოლოგებისთვისაც დღემდე უცნობი ეს რომანი ნამდვილად იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას საქართველო-თურქეთის ისტორიულ ურთიერთობათა შესასწავლად.

გამოყენებული ლიტერატურა

თამარაშვილი 1902: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფილისი, 1902.

კარბელაშვილი 1987: კარბელაშვილი გ., სულის ნაჟური. თბილისი, 1987.

ნიკოლეიშვილი 2022: ნიკოლეიშვილი ა., საქართველო უცხოელ მწერალთა ცხოვრებასა და შემოქმედებაში. თბილისი, 2022. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“.

ჩხაიძე 1991: ჩხაიძე ა., ჩვენებურები. დოკუმენტური მოთხრობა თურქეთში მცხოვრებ თანამემამულეებზე და კიდევ სხვა ამბებზე. ბათუმი, 1991.

Banoğlu 1941: Niyazi Ahmet Banoğlu, Aşk uğrunda. İstanbul, 1941.

Çilaşvili 2018: Parna-beka Çilaşvili, 2018, Giorgi Saakadze ve Aşk Uğrunda, ინტერნეტსაიტზე: Tetri Pıala გამოქვეყნებულია 2018 წლის 23 სექტემბერს ფარნაბეკას მიერ.

References

Banoghlu 1941: Niazi (Ahmed) Banoghlu (Banelishvili), For Love, Istanbul, 1941.

Chilashvili 2018: Parna-beka Chilashvili, Giorgi Saakadze ve Aşk Uğrunda (For the Sake of Love), published by Parna-beka on the website Tetri Pıala on September 23, 2018.

Chkhaidze 1991: Chkhaidze A., Our People: A Documentary Story about Compatriots Living in Turkey and Other Stories. Batumi, 1991.

Karbelashvili 1987: Karbelashvili G., The Essence of the Soul. Tbilisi, 1987.

Nikoleishvili 2022: Nikoleishvili A., Georgia in the Lives and Works of Foreign Writers. Tbilisi, 2022. Publishing House “Georgia’s Messenger”.

Tamarashvili 1902: Tamarashvili M., The History of Catholicism among Georgians. Tbilisi, 1902.